ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) შესრულება

სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლები

ზოგადი ინფორმაცია სამოქმედო გეგმების შესახებ

SMO სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება IFAC-ის წევრებისა და ასოცირებული წევრების მიერ, რათა აჩვენონ წევრობის ვალდებულების პრინციპების (SMO) შესრულება. SMO მოითხოვს IFAC-ის წევრებმა და ასოცირებულმა წევრებმა, IFAC-ის ეგიდით, ხელი შეუწყონ სტანდარტების შემმუშავებელი დამოუკიდებელი საბჭოების, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა განცხადებების მიღებასა და დანერგვას, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის (QA) მიმოხილვისა და მოკვლევისა და დისციპლინური (I&D) სისტემების დაფუძნებას.

IFAC-ის წევრები და ასოცირებული წევრები ატარებენ თვითშეფასებას SMO მოთხოვნების შესაბამისად და ავლენენ იმ სფეროებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასების შედეგების საფუძველზე, წევრები და ასოცირებული წევრები შეიმუშავებენ SMO სამოქმედო გეგმას, რათა (ა) აჩვენონ, თუ როგორ ასრულებენ ისინი SMO მოთხოვნებს და (ბ) თუ ზოგიერთი მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, წარმოადგინონ მათი შესრულების გეგმები.

SMO სამოქმედო გეგმები მუდმივად განახლებადია, რომლებიც იძლევა ბუღალტრული პროფესიისა და მისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს ყოვლისმომცველ აღწერილობას, ასევე IFAC-ის წევრებისა და ასოცირებული წევრების მიერ განხორციელებულ ქმედებებს საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების მიღებისა და დანერგვისთვის.

SMO სამოქმედო გეგმების რეგულარული განახლება მოითხოვება IFAC-ის წევრების შესაბამისობის პროგრამის ფარგლებში.

ინფორმაციის გამოყენება

გთხოვთ, გაეცნოთ დისკლაიმერს, რომელიც გამოქვეყნებულია შესაბამისობის პროგრამის ვებსაიტზე.

<u>სამოქმედო გეგმა</u>

IFAC-ის წევრი:	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)
მმართველი ორგანო, რომელიც ამტკიცებს:	ბაფის გამგეობა
საწყისი გამოქვეყნების თარიღი:	2010 წლის აპრილი
ბოლოს განახლდა:	2022 წლის ოქტომბერი
შემდეგი განახლება:	2025 წლის ოქტომბერი

გლოსარიუმი

ACCA	Association of Certified Chartered Accountants	სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია
CPD	Continuing Professional Development	განგრძობითი პროფესიული განათლება (გპგ)
EC	Ethics Committee	ეთიკის კომიტეტი (ეკ)
EC	Education Committee	განათლების კომიტეტი (გკ)
ECC	Education and Certification Committee	განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტი (გსკ)
ED	Executive Director	აღმასრულებელი დირექტორი (აღმ.დ)
EDC	Ethics and Disciplinary Investigation Committee	ეთიკისა და დისციპლინარული მოკვლევის კომიტეტი (ედკ)
GFPAA	Georgian Federation of Professional Accountants and Auditors	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)
IAESB	International Accounting Education Standards Board	ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IASB	International Accounting Standards Board	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IAASB	International Audit & Assurance Standards Board	აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IES	International Education Standards	განათლების საერთაშორისო სტანდარტები
IFAC	International Federation of Accountants	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
IFRS	International Financial Reporting Standards	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
IPSAS	International Public Sector Accounting Standards	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
ISA	International Standards on Auditing	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
ISQC	International Standard on Quality Control	ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები
QA	Quality Assurance	ხარისხის უზრუნველყოფა (ხუ)
QARC	Quality Assurance Review Committee	ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვის კომიტეტი (ხუკ)
QC	Quality Control	ხარისხის კონტროლი (ხკ)
SC	Standards Committee	სტანდარტების კომიტეტი (სკ)
SMO	Statements of Membership Obligations	წევრობის ვალდებულების პრინციპები
TSU	Tbilisi State University	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 1 – ხარისხის უზრუნველყოფა

სამოქმედო გეგმის მიზანი: ბაფის ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვის სისტემის შემუშავება და შენარჩუნება

2016 წლის ივნისიდან საქართველოში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა აუდიტორული პროფესიის რეგულირების საკითხებში, რადგანაც 2012 წლის ივნისიდან მიღებული კანონი აღარ მოქმედებს და იგი შეცვალა ახალმა კანონმა. „ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის თანახმად (# 5386-IIს, 2016 წლის 8 ივნისი) (ახალი კანონი) აუდიტის პროფესიას არეგულირებს ფინანსთა სამინისტროში ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანო (SARAS).

SARAS-მა აიღო პროფესიის მარეგულირებელი ყველა ფუნქცია, რომელიც 2016 წლამდე მინიჭებული ჰქონდათ აკრედიტირებულ პროფესიულ ორგანიზაციებს, კერძოდ: ხარისხის მიმოხილვის სისტემის ჩამოყალიბა და დანერგვა, ხარისხის მიმომხილველების დამტკიცება, აუდიტორული ფირმების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება და აუდიტორთა რეგისტრაცია. ამ კანონის თანახმად სრულად არის მიღებული ISA, IFRS და მცირე და საშუალო საწარმოების IFRS , აგრეთვე IESBA Code (ეთიკის კოდექსი), ხარისხის კონტროლის სისტემა (ISQC 1), რომელთა თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება SARAS-ის ვალდებულებაა.

ახალი კანონის თანახმად, ფიზიკური პირი აუდიტორები ვალდებულნი არიან გაწევრიანდნენ პროფესიულ ორგანიზაციებში, ხოლო აუდიტორულ ფირმებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ გაწევრიანება.

დღევანდელი მოცემულობით ქვეყანაში აღიარებულია ორი პროფესიული ორგანიზაცია: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსური მენეჯერების ფედერაცია (საბფმფ).

ამჟამად, კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიცირებას ანხორციელებს მხოლოდ ერთი პროფესიული ორგანიზაცია (დე ფაქტო) ბაფი.

ქვეყანაში პროფესიული ორგანიზაციის აღიარების კრიტერიუმებია:

1. უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს:

   ა) პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

   ბ) წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას.

2. უნდა ჰქონდეს წევრი აუდიტორებისა და სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრი და წევრ აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესები.

3. ვალდებულია გამოაქვეყნოს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგება და საქმიანობის შესახებ ანგარიში.

4. პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობას აუდიტორები ან/და სერტიფიცირებული ბუღალტრები შეადგენენ.

2020 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა და ბაფის საიტზე და ყოველთვიურ ჟურნალში გამოქვეყნდა IFAC-ის სახელმძღვანელო „საქმიანობაზე ფოკუსირება - პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის ეფექტური მართვის პრინციპები“- მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის რეკომენდაციები.
IFAC-ის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შესაბამისად მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის ეტაპობრივად დანერგვის მიზნით, ბაფის გამგეობამ 2022 წელს მოამზადა წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც გამოქვეყნებულია განსახილველად და დასამტკიცებლად გავა საერთო კრებაზე 2022 წლის დეკემბერში.
ცვლილებების პროექტის თანახმად, გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) არჩეული უნდა იყოს არაუმეტეს:

- 1 წევრისა აკადემიური სექტორიდან, რომელთანაც ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- 2 წევრისა ბიზნესში (გარდა აუდიტორისა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულისა) დასაქმებული ბუღალტრებიდან;
- 2 წევრისა ფედერაციის კორპორაციული წევრი დიდი ოთხეულიდან;
- 6 წევრისა კორპორაციული წევრი აუდიტორული ფირმებიდან (გარდა დიდი ოთხეულისა) ან/და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორებიდან.

ახალი კანონის თანახმად, პროფესიულ ორგანიზაციებს აქვთ შეზღუდული როლი და უფლებამოსილება, რაც მოიცავს მისი წევრების (პროფესიონალი ბუღალტრების) სერტიფიცირებასა და განგრძობით პროფესიულ სწავლებას. ასევე, ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ნაცვლად, რასაც წარსულში აკეთებდა ბაფი, ახალი როლის თანახმად, უნდა მოხდეს წევრი აუდიტორული ფირმების მხარდაჭერა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებაში, რომელიც მოიცავს: კონსულტაციებს, ტრენინგებს, აუდიტის პროგრამის გამოყენებას ქართულ ვერსიაში; ხარისხის კონტროლის სისტემის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის წინასწარ მიმოხილვას და ბაფის მოწვეული ექსპერტების მიერ გაცემულ სათანადო რეკომენდაციებს, წევრების ეთიკური ნორმებისა და დისციპლინარული მოკვლევის საკითხებს.

შესაბამისად, შეიცვალა კომიტეტის სახელწოდება და ეწოდება „ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი“ (ხუკ)

#	დაწყების თარიღი	ქმედება	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
ბაფის წევრი ფირმების მხარდაჭერა ხარისხის კონტროლის სტანდარტების დანერგვაში					
1	2020		2022	ხუკ	ხუკ წევრები

				თავმჯდომარე	
2	2020	კორპორაციული წევრებისთვის ISQM 1-ის დანერგვაში მხარდაჭერა. **მცირე და საშუალო პრაქტიკის მხარდაჭერის ფარგლებში 2020- 2022 წლებში:** 1. ითარგმნა და ბაფის ვებგვერდსა და ყოველთვიურ ჟურნალში გამოქვეყნდა IFAC-ის, ACCA-ის, მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ათეული პუბლიკაცია, მათ შორის: • აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ ხარისხის მართვის ახალი სტანდარტების შემუშავება: მიმოხილვა • ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 _ გარიგების ხარისხის მიმოხილვა (ISQM 2) • ინტეგრირებული ანგარიშგების მიმართ მარწმუნებელი მომსახურების გამოყენების დაჩქარება საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ • პროფესიონალების მომზადება მომავლისთვის: ინდივიდუ-ალური პრაქტიკის მქონე პირთა წინაშე არსებული გამოწვე-ვები და პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათი დახმარე-ბის შესაძლებლობები • Covid-19 – მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების გზა აღდგენისკენ • პრაქტიკის ტრანსფორმაციის სამოქმედო გეგმა • მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მხარდაჭერა კოვიდ 19 პირობებში • მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მცირე საწარმოებისთვის • 7 მითითება საკონსულტაციო პრაქტიკის დასაწყებად • მცირე ფირმების სპეციალიზაციის ანალიტიკური სურათი ბიზნესის საკონსულტაციო სერვისებზე გაზრდილი ფოკუსირებით და სხვ;	2022	ბაფის კომიტეტები და აღმასრულებელი სტრუქტურა	მოწვეული მთარგმნელები და ექსპერტები, დონორი ორგანიზაციები

		2. **მსოფლიო ბანკისა და ბაფის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა 10-ზე მეტი ვებინარი. მათ შორის:** • ხარისხის მართვის ახალი საერთაშორისო სტანდარტები: ხარისხის მართვის დონის ამაღლება • „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ბიზნესის დივერსიფიკაცია ახალი სერვისების შეთავაზების საშუალებით“. • SMP-ების მომავალი: კრიზისიდან მიღებული გაკვეთილები და პრაქტიკის ტრანსფორმაცია • „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების მომავალი: ქსელები, შერწყმა და შთანთქმა”. • როგორ აჩვენოთ მცირე და საშუალო საწარმოებს თქვენი რჩევების ღირებულება და სხვ; **3. მცირე და საშუალო საწარმოთა ხარისხის კონტროლისთვის ჩატარდა 14 ტრენინგი, ჯამში 126 საათი, მათ შორის:** • პრაქტიკული ტრენინგი HAT აუდიტის სახელმძღვანელოს გამოყენებასთან დაკავშირებით • პრაქტიკული ტრენინგი აუდიტის პროგრამით HAT აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით • ხარისხის მართვის ახალი სტანდარტებისთვის მზადება: ხმსს 1 -ხარისხის ამოცანები და ხარისხთან დაკავშირებული რისკები და გარიგების ხარისხის მიმოხილვა • ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 გარიგების ხარისხის მიმოხილვა • ტრენინგები მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული ფირმებისთვის ხარისხის კონტროლის IFAC-ის სახელმძღვანელოშიდა სხვ; ასევე, ეს თემები გაშუქდა CPD კურსებზე, რომლებიც ტარდება			

		ყოველწლიურად. აღნიშნულ თემებზე სრული ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ლინქებზე: http://baf.ge/site/index.php?tid=6&color=blue&lid=6&sid=21 http://baf.ge/site/index.php?tid=6&color=blue&lid=6&sid=22 https://saras.gov.ge/ka/Home/Manuals 4. 2020-2022 წლებში ჩატარდა 12 კორპორაციული წევრის ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მიმოხილვა და წარდგენილია დიაგნოსტიკური დასკვნა.			
3	მუდმივად	კორპორაციული წევრების წარმომადგენელთა პერიოდული ტრენინგები ISQM 1 და ISQM 2- ში და კორპორაციული წევრების მომზადება SARAS-ის ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვაში, QA სისტემის წინასწარი მიმოხილვა და რეკომენდაციების მიცემა.	მუდმივად	ხუკ თავმჯდომარე	ხუკ წევრები
ბაფის შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა					
4	მუდმივად	იმის უზრუნველყოფა, რომ ბაფის ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვის სისტემა მუდმივად შესაბამისობაში იყოს SMO1-ს განახლებულ მოთხოვნებთან. ეს მოიცავს QA სისტემის მუშაობის პერიოდულ მიმოხილვას და საჭიროებისამებრ სამომავლო საქმიანობის შესაბამისად სამოქმედო გეგმის განახლებას.	მუდმივად	ხუკ თავმჯდომარე	ხუკ წევრები

SMO 1-ის ძირითადი მოთხოვნები

მოთხოვნები	Y	N	ნაწილობრივ	კომენტარები
სისტემის მოქმედების სფერო 1. მინიმუმ, QA-ის სავალდებულო მიმოხილვები მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების ყველა სავალდებულო აუდიტისთვის.	X			არის სარასის ფუნქცია და ხორციელდება მის მიერ
ხარისხის კონტროლის სტანდარტები და ხარისხის კონტროლის სხვა სახელმძღვანელო 2. ფირმებს მოეთხოვება ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.	X			სარასის მიერ
3. ISQM 1 და სხვა შესაბამისი ISA-ების უახლესი ვერსიები მიღებულია როგორც ხარისხის მართვის სტანდარტები.	X			სარასის მიერ
4. წევრი ორგანიზაცია ეხმარება ფირმებს ხარისხის მართვის მიზნების აღქმაში და ხარისხის მართვის სათანადო სისტემების დანერგვაში და შენარჩუნებაში.	X			ბაფი
მიმოხილვის ციკლი 5. გამოიყენება ციკლზე-დაფუძნებული, რისკზე-დაფუძნებული ან შერეული მიდგომა ფირმების შერჩევის მიზნით QA-ის მიმოხილვისთვის.	X			სარასის მიერ
6. ციკლზე-დაფუძნებული მიდგომისთვის, ხარისხის კონტროლის მიმოხილვა უნდა ჩატარდეს მინიმუმ ექვს წელიწადში ერთხელ (და საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტისთვის სამ წელიწადში ერთხელ).	X			სარასის მიერ
QA მიმოხილვის გუნდი 7. ხდება QA გუნდის დამოუკიდებლობის შემოწმება და დასაბუთება.	X			სარასის მიერ
8. QA გუნდს გააჩნია შესაბამისი გამოცდილების დონე.			X	ბაფის შეფასებით
ანგარიშგება 9. მოითხოვება მტკიცებულებების დადასტურება, რომელიც თან ახლავს ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ანგარიშს.	X			

10. წერილობითი ანგარიში გაიცემა QA მიმოხილვის დასრულებისთანავე და მიეწოდება ფირმას/პარტნიორს, რომელმაც გაიარა მიმოხილვა.	X			სარასის მიერ
მაკორექტირებელი და დისციპლინური ქმედებები 11. ფირმებს/პარტნიორებს, რომლებმაც გაიარეს მიმოხილვა, მოეთხოვებათ გააკეთონ დროული კორექტირება, რათა შეასრულონ მიმოხილვის ანგარიშის რეკომენდაციები.	X			
12. QA მიმოხილვის სისტემა უკავშირდება კვლევისა და დისციპლინის სისტემას.	X			
საზოგადოებრივი ზედამხედველობა 13. QA-ის მიმოხილვებზე პასუხისმგებელი ორგანო თანამშრომლობს თავის ზედამხედველ ორგანოსთან და საჭიროების შემთხვევაში აწვდის ინფორმაციას QA მიმოხილვის სისტემის ფუნქციონირების შესახებ.	X			სარასის ვალდებულება
დანერგვისა და ეფექტურობის რეგულარული მიმოხილვა 14. ხორციელდება სისტემის დანერგვისა და ეფექტურობის რეგულარული მიმოხილვები.	X			სარასის მიერ

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 2 - პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტები და IAESB-ის მიერ გამოცემული სხვა პუბლიკაციები

სამოქმედო გეგმის მიზანი: ბაფის საგანმანათლებლო სისტემის შემდგომი შემუშავება და შენარჩუნება

წანამძღვრები

ბაფის საგანმანათლებლო სისტემა და პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი დაფუძნებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის №9 ნორმატივს "სერთიფიცირებამდელი განათლება, პროფესიული კომპეტენტურობისა და პრაქტიკული გამოცდილების ტესტები" და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ მიღებულ პროფესიონალ ბუღალტერთა კვალიფიკაციისათვის ნაციონალური მოთხოვნების დებულებას. ბაფის პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოში პროფესიის მარეგულირებელი ორგანიზაციის (სარასი) მიერ დამტკიცებულ პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტთან.

სერტიფიცირებული ბუღალტერი არის პირი, რომელსაც აქვს უფლება იყოს ან არის ბუღალტრების ან/და აუდიტორების აღიარებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, ან ასეთად აღიარებულია მარეგულირებელი ორგანიზაციის (სარასი) მიერ.

ბაფის წევრი "სერტიფიცირებული ბუღალტერი" გულისხმობს, რომ განსაზღვრული მომენტისათვის პირი შეესაბამება სასერთიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია მათი საქმიანობის სფეროსათვის და აქვს სათანადოკომპეტენცია პროფესიული მომსხურების ისეთ სფეროებში, როგორიცაა: წარმოება, ვაჭრობა, საჯარო სექტორი, სახელმწიფო ან განათლების სექტორი.

.

კომპეტენტურობა განისაზღვრება ბუღალტრის ცოდნით, გამოცდილებითა და პროფესიული ღირსებით. პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნა და ჩვევები მოწმდება საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების გზით, რომელიც ხორციელდება სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად.

სერთიფიკატის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია იმ პირობით, რომ სერთიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი ყოველწლიურად გადის ბაფში განგრძობით სწავლებას, განგრძობითი სწავლების სტანდარტის შესაბამისად. ბაფის წევრისათვის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების პირობები განისაზღვრება წევრობის დებულებით, დისციპლინარული მოკვლევისა და პროფესიული ეთიკის კომიტეტის დებულებით, აგრეთვე ბაფის ნამდვილი წევრის უწყვეტი პროფესიული განათლების სტანდარტის თანახმად.

უნივერსიტეტების უმეტესობის ბუღალტრული აღრიცხვის აკადემიური პროგრამები, ფუნდამენტურ დონეზე, შეესაბამება IES-ს მოთხოვნებს. ყველა პროგრამის სრული შესაბამისობის მიზნით ბაფი აგრძელებს აქტიურ მუშაობას უნივერსიტეტებთან. ამ მიზნით, 2022 წელს ბაფისა და

მსოფლიო ბანკის ერთობლივი ორგანიზებით, ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში ხელი მოეწერა ბაფსა და საქართველოს 7 უნივერსიტეტს შორის განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის (პროგრამების ურთიერთაღიარების) მემორანდუმებს. მემორანდუმების თანახმად, სტუდენტებს პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის პირველ და მეორე საფეხურზე ჩათვლები სრულად მიეცემათ, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტები საგნების აღიარებისთვის საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ;
- მემორანდუმზე ხელმომწერ უნივერსიტეტებს უსასყიდლოდ გადაეცათ ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის მოდულების სასწავლო ლიტერატურა (1080 კომპლექტი);
- 2022 წლის ივნისი-ივლისში მემორანდუმზე ხელმომწერი უნივერსიტეტების 46 ლექტორს ჩაუტარდა ტრენინგები პროფესიული სერტიფიცირების მოდულების სწავლების მეთოდოლოგიაში და სხვ;

ბაფის პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სისტემა (IES 2-6):

პროფესიული განათლების პოლიტიკასა და პროცედურებს ადგენს ბაფის განათლების კომიტეტი, რომელსაც ბუღალტერთა სერტიფიცირების დებულებით (შიდა ნორმატიული აქტი) აღიარებული აქვს საერთაშორისო განათლების სტანდარტები (IES) და სერტიფიცირებული წევრისადმი დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად ეფუძნება მას. დაშვებულია როგორც IES ინგლისურენოვანი (ორიგინალის) ასევე ქართულ ენაზე თარგმნილი IES-ის გამოყენება. IES ქართულ ენაზე ბოლოს ითარგმნა 2018 წელს, იხ. ბმული:

http://baf.ge/site/index.php?tid=67&color=blue&lid=67&sid=67

სერტიფიცირების პროგრამა სრულად ეფუძნება ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) პროგრამას, რომლის ლიტერატურა (კაპლანისა, ბფპ-ს გამოცემები) ითარგმნება ქართულ ენაზე. სასერტიფიკაციო პროგრამა ახლდება 3 წელიწადში ერთხელ, ან უფრო ადრე, ACCA-ის პროგრამაში, ან ქვეყნის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. პროგრამის შეცვლის აუცილებლობა ასევე გამოიკვეთება იმ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად, რომლებიც ასაქმებენ სერტიფიცირებულ ბუღალტრებს, მინიმუმ ორი მიმართულებით: აუდიტორული ფირმები; და სხვა დამსაქმებლები. ბაფის სასერთიფიკაციო პროგრამა ბოლო განახლება დასრულდა მიმდინარე (2022) წელს.

ჩვენი სასერტიფიკაციო პროგრამის დეტალები შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე:
http://baf.ge/site/index.php?tid=33&color=green&lid=33&sid=33

პროფესიული განვითარება/განათლების მიმართულებით ბაფის საქმიანობა შეესაბამება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES 2-6). პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული სერტიფიცირების გზით. ბაფში, 2003 წლიდან ბუღალტრის პროფესიული განვითარება/განათლება ხდება ACCA პროგრამის საფუძველზე. სერტიფიცირების სახელმძღვანელო მოდულები (11 მოდული) თარგმნილია ქართულ ენაზე და პერიოდულად ხდება მათი განახლება. გარდა თარგმნილი 11 მოდულისა, სერტიფიცირების პროგრამა, სავალდებულო წესით, მოიცავს ქართული ბიზნეს სამართალსა და საგადასახადო კანონმდებლობას. პროფესიული სერტიფიცირებისათვის (პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებისათვის) სავალდებულოა პრეტენდენტმა დაადასტუროს განათლების საერთაშორისო სტანდარტებითა (IES) და სასერტიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებული თემების ცოდნა. პროგრამა მოიცავს სერტიფიცირების სამ ეტაპს (1, მე-2 და მე-3 დონე). პროგრამის 13 მოდულიდან პრეტენდენტს უფლება აქვს 8 მოდულში (1 და მე-2 დონის მოდულებში) მიიღოს ჩათვლები, დადგენილი წესების შესაბამისად უნივერსიტეტებში მიღებული ანალოგიური ცოდნის დადასტურების შემთხვევაში. სერტიფიცირების უმაღლესი დონის (მე-3 ეტაპი) 5 საგამოცდო მოდულში გამოცდების ბაფში ჩაბარება სავალდებულოა და მათში ჩათვლების მიღება შეუძლებელია.

სერტიფიცირების საგამოცდო პროცესს გეგმავს და სრულად ახორციელებს დამოუკიდებელი ორგანო - ბაფის საგამოცდო კომისია. კომისიის საქმიანობის შიდა ზედამხედველობას ახორციელებს ბაფის განათლების კომიტეტის სერტიფიცირების სამეთვალყურეო საბჭო.

ბაფის სერტიფიცირების პროცესის გარე მონიტორინგი ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის (სარასი) მიერ. პროფესიული განათლების პროგრამა და სერტიფიცირების პროცესი აღიარებულია ზედამხედველობის სამსახურის (სარასი) მიერ.

ბაფის ნამდვილი წევრობის კანდიდატებს (სერთიფიცირებული ბუღალტრები) უნდა ჰქონდეთ დასრულებული სერტიფიცირების პროგრამა, დაკმაყოფილებული ჰქონდეს IES 5-ის მოთხოვნები (მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება ან პროფილით მუშაობის არანაკლებ 2 წლის მუშაობის გამოცდილება და დამატებით ჰქონდეს მინიმუმ 1 წლიანი სტაჟირება) და უნდა ჰქონდეს მიღებული საბოლოო შეფასება.

ბაფის განგრძობითი განათლების სისტემა (IES - 7)

ბაფის განგრძობითი განათლების სტანდარტი ადგენს, რომ ორგანიზაციის წევრი ასრულებს პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნას(პგგ), როგორც პროფესიონალი ბუღალტრის ხანგრძლივი წევრობის კომპონენტის შემადგენელ მოთხოვნას. სტანდარტი ნერგავს პგგ-ის სათანადო (რელევანტურ), შემოწმებად და ცოდნის მისაღები მოქმედებისა და შედეგის შეფასებად კონცეფციას.

ბაფის წევრი ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია აიმაღლოს და შეინარჩუნოს თავისი პროფესიონალური კომპეტენტურობა იმ დონეზე, რომელიც შესაბამისი იქნება მათი სამუშაოს ბუნებისა და პროფესიონალური ვალდებულების. ეს ვალდებულება ეხება ყველა პროფესუინალ ბუღალტერს, მიუხედავდ იმისა ისინი დაკავებული არიან ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ სფეროში თუ სხვა სფეროში.

ბაფი თვითონ უზრუნველყოფს პროფესიონალი ბუღალტრებისათვის პროფესიული განვითარების გაგრძელების შესაფერის პროგრამას და აადვილებს სხვების მიერ შეთავაზებული პროგრამების ხელმისაწვდომობას.

პროფესიული განვითარების გაგრძელების მისაღწევად ბაფში გამოიყენება ორ მიდგომა. კერძოდ:

ა) დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა და

ბ) შედეგზე დაფუძნებული მიდგომა

დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაექვემდებარება პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ვერ მოახდენს პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების დემონსტრირებას შედეგზე დაფუძნებული მიდგომით. ამ მიზნით, პროფესიონალი ბუღალტრებისათვის ბაფი აწყობს ორგანიზებულ სემინარებს წელიწადში ერთხელ.

შედეგზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაქვემდებარებული პროფესიონალი ბუღალტრებისაგან ბაფი მოითხოვს, რომ მოახდინონ სათანადო კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების პერიოდული დემონსტრირება შესაბამისი მტკიცებულებით, რომელიც:

ა) მიუკერძოებლად არის დამოწმებული კომპეტენტური წყაროს მიერ; და

ბ) გონივრულად გამოყენებადია შეფასების კომპეტენტური მეთოდისათვის.

2020 წლამდე, განგრძობითი განათლების სტანდარტით, ყველა სერტიფიცირებული პირისთვის (დასაქმების სფეროს მიუხედავად) დადგენილი იყო ერთი და იგივე მიდგომა/მოთხოვნა. 2020 წლიდან ასეთი მიდგომა შეიცვალა და წევრი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის სტანდარტით დადგენილია:

ა. **ბიზნესში დასაქმებული სერტიფიცირებული** ბუღალტერი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია, ყოველი, 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 90 საათი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული).

ბ. საჯარო სექტორში დასაქმებული (აუდიტორი), განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია, ყოველი 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 120
საათი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული).

მონიტორინგი და სანქცია. ბაფი ახორციელებს სისტემატიურ შემოწმებას პროფესიონალი ბუღალტრების **CPD** მოთხოვნების შესრულებაზე და ადგენს შესაბამის სანქციას მოვალეობის შეუსრულებლობაზე. ამ მიზნით, ბაფის განათლების კომიტეტში მოქმედებს CPD მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგისა და აღსრულების მიზნით შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო. ასევე, პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სარასი.

კონტროლის უზრუნველსაყოფად ბაფი პროფესიონალი ბუღალტრებისაგან მოითხოვს ყოველწლიურ ანგარიშს პროფესიული განვითარების გაგრძელებასთან დამოკიდებულების შესახებ. ასეთი ანგარიშის წარდგენა არ ევალება პროფესიონალ ბუღალტერს, რომელიც დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში მონაწილეობას იღებს ბაფის მიერ ორგანიზებულს სასწავლო სემინარში.

თუ პროფესიონალი ბუღალტერი არ ემორჩილება სავალდებულო მოთხოვნას, მის მიმართ გამოყენებული იქნება სანქცია.

სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი დაუმორჩილებელი პროფესიონალი ბუღალტრის მიმართ პირველი ნაბიჯი ითვალისწინებს მიმართვას გონივრულად დასაშვებ ვადაში სავალდებულო მოთხოვნისათვის დამორჩილების მოთხოვნით.

ბაფის წევრობის შეჩერება/გარიცხვა გამოიყენება იმ პროფესიონალი ბუღალტრის მიმართ, რომელიც, ბაფის მიმართვის შემდეგ ისევ გააგრძელებს პროფესიული განვითარების გაგრძელების იგნორირებას.

კომპეტენციის მოთხოვნები აუდიტის პროფესიონალებისთვის (IES 8)

კანონმდებლობით, საჯარო სექტორში დასაქმების მსურველი სერტიფიცირებული პირებისათვის(აუდიტორები) მოთხოვნებს ადგენს SARAS. დამწყებ აუდიტორებს მოეთხოვებათ დაიცვან IES 8-ის მოთხოვნები, „პროფესიული კომპეტენცია ჩართულობის პარტნიორებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. კერძოდ, დამწყები აუდიტორი ვალდებულია სარასს წარუდგინოს ზედამხედველი აუდიტორის მიერ კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციის დასადასტურებლად გაცემული პრაქტიკის ფურცელი.

ზედამხედველი აუდიტორის ფუნქციების განხორციელებისას, პირი უნდა იყოს აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორი ან/და საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი.

კანონმდებლობის მოთხოვნები პროფესიულ განათლებასთან და სერტიფიცირებასთან დაკავშირებით:

კანონმდებლობით მოითხოვება რომ ევროკავშირის დირექტივისა და IFAC-ის განათლების საერთაშორისო სტანდარტის

მოთხოვნების შესაბამისად, SARAS-მა აღიაროს პროფესიული ორგანიზაციების სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების პროგრამები. პროფესიული სასერტიფიკაციო სტანდარტი განსაზღვრავს საჭირო სასწავლო დისციპლინებს, საგამოცდო პროცესისა და ჩათვლების წესებს. განგრძობითი განათლების სტანდარტი განსაზღვრავს შესაბამის პროგრამას და მისი შესრულების წესს.

სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მოპოვების წესები მოცემულია "პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტში", რომელიც დამტკიცებულია SARAS-ის მიერ. იგი განთავსებულია SARAS-ის და ბაფის საიტებზე:

https://www.saras.gov.ge/Content/files/Professional_Certification_Standard_2017.09.21_ENG.pdf

http://baf.ge/site/index.php?tid=1&color=blue&lid=1&sid=1&artid=173

ამ სტანდარტის ძირითადი მოთხოვნების მოკლე აღწერა იხ. ბმულზე:

https://saras.gov.ge/Content/files/bugaltruli-agricxvis-angarishgebis-da-auditis-shesaxeb-kanoni.pdf

პროფესიული სერტიფიცირება ტარდება პროფესიული ორგანიზაციების მიერ, რომელთა სასერტიფიკაციო პროგრამები ან/და საგამოცდო პროცედურები აკმაყოფილებს SARAS-ის მიერ დადგენილ სტანდარტებს, და რომლებიც აღიარებულია SARAS-ის ბრძანების „სასერტიფიკაციო პროგრამების და საგამოცდო პროცესის აღიარების წესი“ შესაბამისად 2017 წელს.

ამჟამად, მხოლოდ ბაფია აღიარებული,როგორც საგამოცდო ორგანო.

კანონმდებლობით, განგრძობითი განათლების პროცესს უზრუნველყოფენ აღიარებული პროფესიული ორგანიზაციები, რომელთა განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარებას და მათ დადგენილ წესებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს SARAS.
CPD სისტემის მოთხოვნები და მონიტორინგის წესები დადგენილია 2017 წელს SARAS-ის მიერ მიღებული

ნორმატიული აქტის „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მიხედვით, რომელიც განთავსებულია საიტზე.

იხ. ბმული: Continuing Educational Standard

#	დაწყების თარიღი	ქმედებები	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
პროფესიული საბუღალტრო განათლების პროგრამის შემდგომი გაძლიერება					
5	2018	IES ბოლოს ითარგმნა 2018 წელს, თარგმანი შესრულდა IFAC მთარგმნელობითი პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად.იხ. ბმული: http://baf.ge/site/index.php?tid=67&color=blue&lid=67&sid=67	2019	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე	გკ წევრები ACCA პროგრამის ლექტორები

განგრძობითი პროფესიული განათლება					
6	2019 2017	ბაფის ვებგვერდზე CPD მონიტორინგისა და დისციპლინის ახალი სისტემის განთავსება. CPD სისტემის ახალი მოთხოვნები და მონიტორინგის წესები დადგენილია SARA- ის შესაბამისად, 2017 წელს მიღებული ნორმატიული აქტის „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მიხედვით, რომელიც განახლებულია 2020 წელს და განთავსებულია საიტზე. იხ. ბმული: Continuing Educational Standard	2020 2020	ბაფის გკ	ბაფის ადმინისტრაცია
7	2017	CPD მონიტორინგისა და დისციპლინის ახალი სისტემის დანერგვა. სრულად მოქმედებს 2020 წლიდან	2020	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე	გკ წევრები
8	2017	არსებული CPD სისტემის მიმოხილვა, რათა შესაბამისობაში იყოს SARAS-ის ახალ მოთხოვნებთან.	ყოველწლიურად	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე	გკ წევრები
9	2017	CPD სისტემას ამტკიცებს SARAS.	ყოველწლიურად	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე	გკ წევრები

10	2017	ბაფი აღიარებს აუდიტორული ფირმების CPD სისტემას, რომელთა CPD სისტემებიც შეესაბამება SARAS-ის მოთხოვნებს. ROSC-ის რეკომენდაციების შესასრულებლად SARAS-ის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, პროფესიული ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად: (1) ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო პროგრამების IES-სთან და პროფესიული განათლების პროგრამასთან შესაბამისობას საბაზო დონეზე (სერტიფიცირების პროგრამის 1-3 მოდულში) აკმაყოფილებს უნივერსიტეტების ნაწილი. უნივერსიტეტების პროგრამების სრული შესაბამისობის მიღწევის ბოლო ვადად , SARAS- ს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით, დადგენილია 2023 წლის იანვარი; (2) განგრძობითი პროფესიული განათლება და გადამზადება/პრაქტიკული საწავლების IES-თან შესაბამისობა უზრუნველყოფილია SARAS-ის მიერ, 2017 წელს მიღებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნებითა და მის შესრულებაზე SARAS-ის მონიტორინგით. (3) CPD პროგრამების პროექტებს ერთობლივად ვამზადებთ პროფესიული ორგანიზაციები და დიდი ოთხეულის კომპანიები, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს SARAS, რითაც უზრუნველყოფილია ქვეყანაში ერთიანი მიდგომა CPD პროგრამებთან მიმართებაში. დამტკიცებული CPD პროგრამის ტრენინგების მასალების მომზადებას და ტრენინგების ჩატარებას 2017 წლიდან ბაფში, კონტრაქტის საფუძველზე ახორციელებს EYGeorgia. იხ. ბმული: http://baf.ge/site/index.php?tid=34&color=green&lid=34&sid=34&artid=32 http://baf.ge/site/index.php?tid=34&color=green&lid=34&sid=34	მუდმივად	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე	გკ წევრები
მიმდინარე პროცესების შენარჩუნება					

11	მუდმივად	ვაგრძელებთ IES მოთხოვნებთან მიმდინარე კონვერგენციის შენარჩუნებას და განახლებული ACCA მოდულების თარგმანების სახელმძღვანელო ლიტერატურის სახით გამოცემას. საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა მომავალში შეიძლება გაფართოვდეს და შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია პერიოდულად გადაიხედოს და განახლდეს.	მუდმივად	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე	გკ წევრები

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 3 - IAASB-ის მიერ გამოცემული საერთაშორისო სტანდარტები და სხვა პუბლიკაციები

სამოქმედო გეგმის მიზანი: შემდგომი გაუმჯობესებისა და შენარჩუნების პროცესები IAASB-ის პუბლიკაციებთან მუდმივ თანხვედრისთვის

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საქართველოში სამართლებრივ ჩარჩოს, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ეხება ფინანსური და მმართველობითი ანგარიშების აღრიცხვას, მომზადებას და შენახვას, სახელმწიფო გადახდების ანგარიშებს ამ კანონის შესაბამისად, პროფესიულ სერტიფიცირებას, აუდიტორულ მომსახურებას და ხარისხის უზრუნველყოფას, საზოგადოებრივ ზედამხედველობას და აღსრულებას ამ სფეროებში.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირები (PIE), პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებულნი არიან განახორციელონ თავიანთი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შესრულებულია ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატივებში.

ბანკებს, ფინანსურ ინსტიტუტებს, კოტირებულ კომპანიებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს და ა.შ. აქვთ PIE სტატუსი და კანონით ექვემდებარებიან დამატებით/ცალკეულ მოთხოვნებს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის თანახმად, SARAS-ს აქვს იურიდიული უფლებამოსილება დაადგინოს აუდიტის სტანდარტები ამ იურისდიქციაში.

ISA 2020 თარგმნილი და მიღებულია სარასის მიერ.

ISA-ს ქართულ ენაზე თარგმნა ხორციელდება IFAC-ის თარგმნის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

IAASB-ის მიერ გამოცემული სხვა პუბლიკაციები, როგორიცაა მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები (ISRE), მარწმუნებელი გაირგებების საერთაშორისო სტანდარტები (ISAE), დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები (ISRS) და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები (ISQM 1) ითარგმნა 2018 წელს და მიღებულია SARAS-ის მიერ.

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები (ISQM 2) ითარგმნა 2022 წელს და გამოქვეყნებულია ბაფისა და SARAS-ის ვებგვერდებზე.

აუდიტის სტანდარტების შესასწავლად და მათ დასანერგად საქართველოს იურისდიქციაში, ბაფი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ატარებს სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებს, კერძოდ:

• 2019 წელს ბაფმა ჩაატარა „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ ტრენინგები დონორებთან - ევროკავშირი საქართველოსთვის და მსოფლიო ბანკი;

• ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტის (ICAEW) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, 2019 წელს, ICAEW-ის წარმომადგენელმა ჩაატარა 2 ტრენინგი ტრენერებისთვის, რომლებიც 2020 წელს ჩაატარებენ ტრენინგებს კომპანიებისა და აუდიტორებისთვის. რომლებიც დაინტერესებულნი არიან აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებით.

• აუდიტორული კომპანიებისთვის, 2017 წელს ბაფმა ქართულ ენაზე თარგმნა აუდიტორული კომპიუტერული პროგრამა "E-dok", რომელიც ხელმისაწვდომია აუდიტორული კომპანიებისთვის, ასევე 2019 2022 წლებში ჩააატარა პერიოდული ტრენინგები პროგრამის გამოყენების შესახებ;

• მცირე აუდიტორული ფირმების დასახმარებლად, ბაფმა თარგმნა ქართულ ენაზე და გამოაქვეყნა ISA-სთან დაკავშირებული აუდიტის სახელმძღვანელო თავის ვებგვერდზე, რომელიც შემოთავაზებული იყო დიდი ბრიტანეთის აუდიტორული ფირმა HAT-ის მიერ და შესაძლებელი გახდა მისი გამოცემა ერთობლივი პროექტის ფარგლებში ქართულად. სახელმძღვანელო უფასოა და აუდიტორულ კომპანიებს შეუძლიათ გადმოიწერონ ის ბაფის ვებგვერდიდან.

• HAT-ის სახელმძღვანელოს გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგები ჩაუტარდება ყველა აუდიტორულ ფირმასა და პრაქტიკოსს ADB მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ბაფი და მისი პარტნიორი ICAEW-ის ერთობლივი ძალისხმევით.

#	დაწყების თარიღი	ქმედება	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პუბლიკაციების მუდმივი მიღება					
ბაფი მხარს უჭერს SARAS-ს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების მიღებაში, ისეთ პროცესებში, როგორიცაა ამ სტანდარტების თარგმნა და განხორციელება, ტრენინგების ჩატარება სტანდარტების გამოყენების შესახებ და ა.შ.					
ISA- ები მუდმივად ახლდება ქართულ ენაზე ყოველ 6 თვეში, თუ რაიმე ცვლილებები შევა მასში. ეს გათვალისწინებულია „ბუღალტრული					

აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით და ეს არის SARAS-ის ვალდებულება.					
ბაფი ეხმარება SARAS-ს სტანდარტების დანერგვაში					
12	2017	მომზადდა აუდიტორული კომპიუტერული პროგრამების სასწავლო მასალები.	2022	ბაფის ადმინისტრაცია	
13	2017	ჩაუტარდა ტრენინგი ბაფის წევრებს აუდიტორულ კომპიუტერულ პროგრამაში.	2019-2022	მოწვეული ლექტორები	
14	2016	წევრებისთვის ტარდება სემინარები ხარისხის მართვის სისტემებისა და ეთიკის კოდექსის თემებზე.	პერიოდულად	მოწვეული ლექტორები	
ბაფის შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა					
15	მუდმივად	პერიოდულად ტარდება ბაფის პასუხების მიმოხილვა IFAC-ის შესაბამისობის თვითშეფასების კითხვარებზე და საჭიროების შემთხვევაში ახლდება SMO 3-ის შესაბამისი სექციები. განახლების შემდეგ შეატყობინეთ IFAC შესაბამისობის თანამშრომლებს განახლებების შესახებ, რათა შესაბამისობის თანამშრომლებმა გამოაქვეყნონ განახლებული ინფორმაცია.	პერიოდულად	სკ თავმჯდომარე	სკ წევრები

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 4 - IESBA ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის

სამოქმედო გეგმის მიზანი: შემდგომი გაუმჯობესებისა და შენარჩუნების პროცესები IESBA ეთიკის კოდექსთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) მიერ 2020 წელს გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი მიღებულია ცვლილებების გარეშე. პროფესიული ეთიკის კოდექსის ქართულ ენაზე თარგმნას და სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს ზედამხედველობის სამსახური მისი ორიგინალის განახლებიდან 6 თვის ვადაში. ბაფი მონაწილეობს თარგმნის ექსპერტიზასა და ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში დამკვიდრებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო საქმიანობაში. კანონმდებლობით დაშვებულია ამ კოდექსის ინგლისურენოვანი რედაქციის გამოყენება.

IESBA ეთიკის კოდექსი აღიარებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და სერტიფიცირებული ბუღალტერი/აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული მომსახურების განხორციელებისას დაიცვას ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code)

IESBA-ს პრინციპების დაცვა მოითხოვება: საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტებით (GFPAA, SARAS), განგრძობითი განათლების სტანდარტებით (GFPAA, SARAS), ბაფის წევრობის პოლიტიკისა და პროცედურების წესდებით, ბაფის წევრების მიერ დისციპლინისა და დარღვევის წესებით, რომლებიც ადგენს და მოიცავს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკურ მოთხოვნებს ჩვენს იურისდიქციაში.

მოქმედებაშია IESBA კოდექსის 2020 წლის ვერსია, რომელიც თარგმნილია ქართულ ენაზე, IFAC-ის თარგმანის პოლიტიკის მოთხოვნების დაცვით. თარგმნილია IESBA კოდექსის 2021 წლის ვერსია,

იხ. ბმულები:

https://saras.gov.ge/Content/files/bugaltruli-agricxvis-angarishgebis-da-auditis-shesaxeb-kanoni.pdf

https://www.saras.gov.ge/Content/files/Professional_Certification_Standard_2017.09.21_ENG.pdf

http://baf.ge/site/index.php?tid=67&color=blue&lid=67&sid=67

#	დაწყების თარიღი	ქმედება	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
GFPAA ეხმარება SARAS-ს ეთიკის კოდექსის დანერგვაში					
16	მუდმივად	ბაფი თანამშრომლობს *SARAS-სთან ეთიკის კოდექსის* თარგმნის ექსპერტიზასა და ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში დამკვიდრებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო საქმიანობაში. ტრენინგის მასალების მომზადება განახლებული ეთიკის კოდექსისთვის. ყოველწლიურად ვატარებთ 8-10 საათიან სემინარებს და მიზნობრივ ტრენინგებს. ბაფის წევრებს ვაცნობთ *ეთიკის კოდექსის* უახლესი მოვლენებისა და ახალი დოკუმენტების შესახებ ბაფის ყოველთვიური "საბუღალტრო ჟურნალის" და ბაფის ვებგვერდის საშუალებით.	მუდმივად		
17	მუდმივად	CPD კურსებში შეტანილია ეთიკის კოდექსის ახალი დებულებები. 2021 წლის IESBA კოდექსი შეტანილია IPD და CPD პროგრამებში.	მუდმივად		
მუდმივი პროცესების შენარჩუნება					
18	მუდმივად	ეთიკის კოდექსის განახლებისა და ახალი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება წევრებისათვის, ვებინარებისა და ტრენინგების ჩატარება .	მუდმივად	ხუკ თავმჯდომარე	ხუკ წევრები
ბაფის შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა					
19	მუდმივად	საჭიროებისამებრ, პერიოდულად ხორციელდება SMO 4 სექციაზე ბაფის რეაგირების განხილვა. განახლების შემდეგ შეტყობინება ეგზავნება IFAC შესაბამისობის თანამშრომლებს განახლებების შესახებ, რათა შესაბამისობის თანამშრომლებმა გამოაქვეყნონ განახლებული ინფორმაცია.	მუდმივად	ხუკ თავმჯდომარე	ხუკ წევრები

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 5 - IPSASB-ის მიერ გამოცემული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და სხვა პუბლიკაციები

სამოქმედო გეგმის მიზანი: შემდგომი გაუმჯობესებისა და შენარჩუნების პროცესები IPSAS-ებთან მუდმივი თანხვედრისთვის

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ევალება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დამკვიდრება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებაშით დამტკიცდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია. ამ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებისას უნდა იხელმძღვანელონ:

ა) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებმა – 2020 წლის და შემდგომი წლების ეკონომიკური მოვლენების ასახვისათვის;

ბ) საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებმა – 2021 წლის და შემდგომი წლების ეკონომიკური მოვლენების ასახვისთვის.“.

ერთეულები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ დარიცხვის მეთოდით, სსბასს-ების (IPSAS) 2018 წლის ვერსიის საფუძველზე.

ბაფის წარმომადგენელი არის ფინანსთა სამინისტროში მეთოდოლოგიური საბჭოს წევრი და მონაწილეობს კონსულტაციებში IPSAS-ის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, IPSAS-თარგმნის პროცესში ბაფის ექსპერტები იყვნენ მიწვეული და ამ პროცესში ჩვენ აქტიური როლი შევასრულეთ.

#	დაწყების თარიღი	ქმედება	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
მუდმივი პროცესების შენარჩუნება					
20	მუდმივად	IPSAS-ების დანერგვისთვის ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. ბაფი ყოველთვის მონაწილეობს ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში. წევრები, რომლებიც სახელმწიფო სექტორს უწევენ მომსახურებას, არიან სერტიფიცირებული პირები და სერტიფიცირებული პირებისთვის დადგენილი დახმარების გარდა ღებულობენ საკონსულტაციო მომსახურებას, ბაფში მოქმედი საკონსულტაციო ჯგუფსგან. საკონსულტაციო მომსახურება წევრების საკონსულტაციო მომსახურებისთვის ბაფის სათავო ოფისში დასაქმებულია 3 პერსონალი. წევრთა საკონსულტაციო საათებია: - 15: 00-19: 00 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით მათთვის, ვინც ბაფის ოფისში მოდის; - 10: 00-19: 00 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სატელეფონო ზარების საშუალებით; - გარკვეული საკითხების შესახებ წერილობითი კითხვებისთვის გაიცემა წერილობითი პასუხები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბაფის ყოველთვიურად გამოცემულ ჟურნალში "ბუღალტრული აღრიცხვა". ბაფის კომიტეტები ასევე მონაწილეობენ საკონსულტაციო მომსახურებაში (აუდიტის კომიტეტი; სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი; საგადასახადო კომიტეტი; ეთიკისა და დისციპლინის კომიტეტი), სადაც კონსულტანტთა მიერ სპეციალურ	მუდმივად	ბაფის აღმ.დ.	ბაფის აღმ.დ.

		კითხვებზე გაცემული წერილობითი პასუხები განიხილება მათ გამოქვეყნებამდე. რეგიონის წევრების საკონსულტაციო მომსახურება ასევე ხელმისაწვდომია ადგილზე. თითოეულ რეგიონალურ ფილიალს ჰყავს 1 კონსულტანტი ადგილზე საკონსულტაციო მომსახურებისთვის.			
21	მუდმივად	საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ბაფის პასუხების პერიოდული მიმოხილვა IFAC SMO 5 სექციაში. განახლების შემდეგ შეატყობინეთ IFAC შესაბამისობის თანამშრომლებს განახლებების შესახებ, რათა შესაბამისობის თანამშრომლებმა გამოაქვეყნონ განახლებული ინფორმაცია.	მუდმივად	ბაფის აღმ.დ.	ბაფის აღმ.დ.

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 6 - მოკვლევა და დისციპლინა

სამოქმედო გეგმის მიზანი: ბაფის მოკვლევისა და დისციპლინური სისტემის შემუშავება და შენარჩუნება

ახალი კანონის თანახმად, პროფესიული ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან, რეაგირება მოახდინონ მისი წევრების მიერ დადგენილი მოთხოვნებიდან გადახრაზე და შესაბამისად გაატარონ დისციპლინური ზომები. დარღვევების გამოვლენის და დისციპლინური ზომების გამოყენების წესებს ადგენს ბაფი რომელიც შეთანხმებულია SARAS-თან.

დარღვევის ფაქტების მოკვლევა/განხილვას და დისციპლინარული სისტემის საკითხებს უზრუნველყოფს ბაფის ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

2017 წელს ბაფის ეთიკისა და დისციპლინის კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა "წესები ბაფის წევრების მხრიდან დარღვევების იდენტიფიცირებისა და მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის შესახებ", რაც ასევე შეთანხმებულია SARAS-სთან.

2019-2020 წლებში მოხდა მოკვლევისა და დისციპლინური სისტემის დახვეწვა და სრულყოფა, კერძოდ:

შეიქმნა სააპელაციო ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია დისციპლინური და მოკვლევის კომიტეტისგან;

მოქმედებს როგორც „საჩივრებზე დაფუძნებული“, ასევე „ინფორმაციაზე დაფუძნებული“ მიდგომა;

არსებობს სპეციალური დისციპლინური კომისია/სუბიექტი, რომელიც ღებულობს დისციპლინურ გადაწყვეტილებას მოკვლევის შედეგად გადმოცემულ საქმეზე (მასში შედიან როგორც პროფესიონალი ბუღალტრები, ასევე არა ბუღალტრები -იურისტები, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვ;);

დადგენილია ყველა წარმოებული საქმის შესრულების ვადები.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ იურისდიქციაში არსებობს მოკვლევის და დისციპლინის სისტემა. ასევე, მოკვლევითი და დისციპლინური წარმოების შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

მონიტორინგის, გამოკვლევის და აღსრულების მექანიზმები:

კომიტეტი სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:
ა) მოკვლევის დაწყება;
ბ) მოკვლევის განმახორციელებელი პირის შერჩევა/დანიშვნა;
გ) დისციპლინარული საქმის წარმოების მოკვლევის სტადიაზე შეწყვეტა;
დ) შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველ მოსაწვევ პირთა წრის სიის დამტკიცება;
ე) შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველი კომისიის (შემდგომ - კომისია) შემადგენლობის განსაზღვრა და განხილვის დღის დანიშვნა;
ვ) დისციპლინარული საქმის წარმოების დასრულებულად გამოცხადება;
ზ) დასრულებულ დისციპლინარულ საქმის წარმოების შედეგებზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შინაარსი.

სანქციების სპექტრი შეუსაბამო ქცევის ჩამდენი ბაფის წევრის მიმართ:

ა) მითითება - მოპასუხისათვის წერილობითი მიმართვა იმის მითითებით, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა;
ბ) დავალდებულება - მოპასუხისათვის წერილობითი მოთხოვნა, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა
გ) საჯარო გაფრთხილება - განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე მოპასუხის გასაფრთხილებლად (შეიძლება ატარებდეს მკაცრი გაფრთხილების შინაარსს), რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა;
დ) წევრობის შეჩერება - ბაფის წევრის სახელის გამოყენების შეზღუდვა განსაზღვრული ვადით (მაქსიმუმ 3 წლამდე) და ამის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე.
დ) გარიცხვა - ბაფის წევრობის გაუქმება და ამის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ბაფის ვებგვერდზე.

ძირითადი სააღსრულებო ქმედებების მაგალითები 2020-2022 წლებში:
წევრების მხრიდან შესაძლო გადაცდომის ან დისციპლინური გადაცდომის 6 შემთხვევა იყო განხილული. საიდანაც მოკვლევას დაექვემდებარა 2, აქედან ერთი შეეხებოდა „პროფესიონალი ბუღალტრის შეუსაბამო ქცევას“ ხოლო მეორე „ეთიკის კოდექსის და ხარისხის კონტროლის სისტემის შესაძლო დარღვევას“. მოკვლევის საფუძველზე დისციპლინარული კომიტეტის მიერ მიღებული იყო შემდეგი გადაწყვეტილებები:
პირველ შემთხვევაში, „მითითება - მოპასუხისათვის წერილობითი მიმართვა იმის მითითებით, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა;
მეორე შემთხვევაში, დავალდებულება - მოპასუხისათვის წერილობითი მოთხოვნა, რომ შეწყვიტოს ან არ გაიმეოროს შეუსაბამო ქცევა.

#	დაწყების თარიღი	ქმედება	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
I&D მექანიზმების გაძლიერება					
22	მუდმივად	წევრებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბაფის I&D მექანიზმების შესახებ.	მუდმივად	ბაფის ედკ თავმჯდომარე	აღმასრულებელი დირექტორი
23	2017	მოკვლევისა და დისციპლინის სისტემის პოლიტიკის განთავსება ბაფის ვებგვერდზე.	მუდმივად	ბაფის აღმ. დირექტორი	ბაფის ადმინისტრაცია
24	2017	მოკვლევისა და დისციპლინის სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერა.	პერმანენტულად	ედკ და ხუკ თავმჯდომარე	ხუკ და ედკ წევრები
მუდმივი პროცესების შენარჩუნება					
25	მუდმივად	მოკვლევისა და დისციპლინური სისტემის გაუმჯობესება და დახვეწვა. მომავალში სამოქმედო გეგმა შეიძლება გაფართოვდეს, როგორც საჭიროა და მოხდება შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის გადახედვა და განახლება.	მუდმივად	ედკ თავმჯდომარე ხუკ თავმჯდომარე	ედკ წევრები ხუკ წევრები
ბაფის შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა					
26	მუდმივად	საჭიროებისამებრ, მიმდინარეობს SMF 6 სექციის შესახებ ბაფის რეაგირების პერიოდული მიმოხილვა. განახლების შემდეგ შეატყობინეთ IFAC შესაბამისობის თანამშრომლებს განახლებების შესახებ, რათა შესაბამისობის თანამშრომლებმა გამოაქვეყნონ განახლებული ინფორმაცია.	მუდმივად	ედკ თავმჯდომარე ხუკ თავმჯდომარე ბაფის აღმ.დ.	ედკ წევრები ხუკ წევრები

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა I&D სისტემის თვითშეფასება SMO 6-ის ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად (2022)

მოთხოვნები	Y	N	ნაწილობრივ	კომენტარები
სისტემის მოქმედების სფერო 1. არსებობს ბუღალტერთა პროფესიის მოკვლევის, დისციპლინისა და სააპელაციო სისტემა. სისტემა ფუნქციონირებს.	X			
2. ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია არასათანადო საქციელის ტიპების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოკვლევითი ღონისძიებები.	X			
საქმის წარმოების დაწყება 3. მიღებულია როგორც „საჩივრებზე დაფუძნებული“, ასევე „ინფორმაციაზე დაფუძნებული“ მიდგომა.	X			
4. დამყარებულია კავშირი ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვების შედეგებთან.	X			
მოკვლევითი პროცესი 5. არსებობს კომიტეტი ან მსგავსი ორგანო მოკვლევის ჩასატარებლად.	X			
6. კომიტეტის წევრები დამოუკიდებლები არიან მოკვლევის საგნისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან.	X			
დისციპლინური პროცესი 7. არსებობს სპეციალური დისციპლინური კომიტეტი/სუბიექტი, რომელიც მიიღებს დისციპლინურ გადაწყვეტილებას მოკვლევის კომიტეტის მიერ გადმოცემულ საქმეზე.	X			
8. კომიტეტის/სუბიექტის წევრები არიან როგორც პროფესიონალი ბუღალტრები, ასევე არა ბუღალტრები.	X			
9. სასამართლო დამოუკიდებელია მოკვლევის საგნისგან და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან.	X			
სანქციები 10. დისციპლინური სისტემა საშუალებას იძლევა დაწესებული იყოს ფართო სპექტრის საჯარიმო სანქციები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოიცვას (ა) პროფესიონალის წოდების დაკარგვა;	X			

(ბ) პრაქტიკული საქმიანობის უფლებების შეზღუდვა და მოხსნა; და (გ) წევრობის გაუქმება.				
წარმომადგენლობისა და სააპელაციო უფლებები 11. არსებობს მესამე სააპელაციო ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია როგორც დისციპლინური კომიტეტისგან, ასევე მოკვლევითი კომიტეტისგან.	X			
ადმინისტრაციული პროცესები 12. დადგენილია ყველა წარმოებული საქმის შესრულების ვადები.	X			
13. დადგენილია მექანიზმები, რომლებიც აკონტროლებს მოკვლევას და დისციპლინასა და დაკავშირებულ პროცედურებს.	X			
14. დადგენილია მოკვლევისა და დისციპლინური პროცესის პროტოკოლები.	X			
საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება 15. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ იურისდიქციაში არსებობს მოკვლევის და დისციპლინის სისტემა.	X			
16. არსებობს საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის პროცესი, რომელზედაც არ განხორციელებულა შემდგომი შემოწმება.	X			
17. მოკვლევითი და დისციპლინური წარმოების შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.	X			
კავშირი გარე ორგანოებთან 18. არსებობს გარეგანი ორგანოებთან კავშირის შესაბამისი პროცესი სერიოზულ სამართალდარღვევებში და დანაშაულებში შესაძლო მონაწილეობის შესახებ.	X			
განხორციელებისა და ეფექტურობის რეგულარული მიმოხილვა 19. ხორციელდება სისტემის დანერგვისა და ეფექტურობის რეგულარული განხილვა და ხორციელდება მაკორექტირებელი ქმედებები.	X			

სამოქმედო გეგმის საგანი: SMO 7 – IASB-ის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და სხვა პუბლიკაციები

სამოქმედო გეგმის მიზანი: შემდგომი გაუმჯობესებისა და შენარჩუნების პროცესების მიღებისა და დანერგვისთვის

ახალი კანონის თანახმად, სამეურნეო სუბიექტები იყოფა ზომით კატეგორიებად, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენების მიზნით.

ა) საზოგადოებრივი დაინტერესების პირებმა (PIE) და პირველი კატეგორიის საწარმოებმა უნდა აწარმოოს თავიანთი აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS).

ბ) მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოებმა უნდა აწარმოოს თავიანთი აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მათ აგრეთვე უფლება აქვთ გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს).

გ) მეოთხე კატეგორიის საწარმოებმა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირებმა უნდა აწარმოოს თავიანთი აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება SARAS მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენ ვიყენებთ:

1. ფასს 2020
2. მცირე და საშუალო საწარმოების ფასს 2015
3. SARAS-ის მიერ დადგენილი სტანდარტები მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის

SARAS პასუხისმგებელია სტანდარტების თარგმნაზე და სამოქმედოდ შემოღებაზე.

ფასს-ების სწავლა შედის IPD და CPD პროგრამებში. პროგრამები სტანდარტების უახლესი ვერსიების გათვალისწინებით განახლებულია 2021 წელს.

#	დაწყების თარიღი	ქმედება	დასრულების თარიღი	პასუხისმგებლობა	რესურსი
27	მუდმივად	ბაფს ჰყავს სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი, რომელიც შეისწავლის წევრების სურვილებს და გეგმავს შესაბამის თემატურ ტრენინგებსა და სემინარებს. ბაფს ჰყავს გამოცდილი კონსულტანტები, რომლებიც წევრებს კონსულტაციებს უწევენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული მხარეების შესახებ.	მუდმივად	განათლების კომიტეტი, სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი	კომიტეტის წევრები, ბაფის კონსულტანტები, ტრენერები
28	მუდმივად	მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ების სწავლა შედის IPD და CPD პროგრამებში.	მუდმივად		
29		ტრენინგები ტარდება IFRS-ში, ძირითადად, პერიფერიულ რეგიონებში: 2020 წელი მცირე და საშუალო საწარმოების ფასს - 28 საათი; 2021 წელი მცირე და საშუალო საწარმოების ფასს - 24 საათი; 2022 წელი მცირე და საშუალო საწარმოების ფასს - 21 საათი;			
ბაფი ს შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა					
30	მუდმივად	საჭიროებისამებრ, მიმდინარეობს SMF 7 სექციის შესახებ ბაფის რეაგირების პერიოდული მიმოხილვა. განახლების შემდეგ შეატყობინეთ IFAC შესაბამისობის თანამშრომლებს განახლებების შესახებ, რათა შესაბამისობის თანამშრომლებმა გამოაქვეყნონ განახლებული ინფორმაცია.	მუდმივად	სკ თავმჯდომარე	სკ წევრები

სამოქმედო გეგმის საგანი: ბაფის სხვა საქმიანობები

სამოქმედო გეგმის მიზანი: ბაფის, როგორც წამყვანი პროფესიული ორგანიზაციის, პოზიციის გაძლიერება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით

ბაფმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოაწყო არაერთი კონფერენცია, მეზობელი ქვეყნების გამოცდილებისა და მოწინავე პროფესიული ორგანიზაციების გამოცდილების გასაზიარებლად. ბაფის გამგეობის წევრები და აღმასრულებელი გუნდი ასევე დაესწრნენ უამრავ კონფერენციას, მათ შორის ბუღალტრების მე-18 და მე-19 მსოფლიო კონგრესებს:

1. 2009 წლის 5-6 ნოემბერი, საქართველო. კონფერენციას „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულაციები - გამოცდილების გაზიარება" ორგანიზება გაუწია ბაფმა და მასში მონაწილეობდნენ გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, პოლონეთის, თურქეთის, სერბეთის, ლიტვის, უზბეკეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები.
2. 2009 წლის 16-18 ნოემბერი, საქართველო. ბაფისა და ADB-ის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია "ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროების სტანდარტების გაძლიერება სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში" და მას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები.
3. ბაფის გამგეობის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „უკრაინის საინვესტიციო მიმზიდველობა და საინვესტიციო კლიმატის გაძლიერება. IFRS და IAS ეკონომიკის გასაუმჯობესებლად", რომელიც გაიმართა 2010 წლის 7-8 ივლისს, კიევში, უკრაინა.
4. ბაფის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ბუღალტრების მე-18, მე-19, მე-20 მსოფლიო კონგრესებში.
5. ბაფის გამგეობის თავმჯდომარე მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო ფინანსურ ფორუმზე "ბუღალტრები, რომლებიც ქმნიან ღირებულებას". ფორუმი გაიმართა 2011 წლის 31 მარტს, კიევში, უკრაინა.
6. ბაფის გამგეობის თავმჯდომარე დაესწრო და წარადგინა პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციაზე "ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანალიზის განვითარების პერსპექტივები ევროინტეგრაციის კონტექსტში", რომელიც გაიმართა 2011 წლის 19 მაისს, ოდესაში, უკრაინა.
7. ბაფის წარმომადგენლები დაესწრნენ და მონაწილეობდნენ ლონდონში ჩატარებულ სტანდარტების შემუშავების ღონისძიებებში (2011 და 2013), სადაც ისინი ასევე მონაწილეობდნენ ცალკეული ქვეყნების შეხვედრებში IAASB, IASB და IFAC პერსონალებთან.
8. ბაფის ხუთი წარმომადგენელი დაესწრო ბუღალტრების მე-19 მსოფლიო კონგრესს, რომელიც ჩატარდა 2014 წლის ნოემბერში, იტალიაში.
9. 2016 წლის 20-21 მაისს ბაფმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას "20 წლის პროფესიული განვითარება - ევროინტეგრაცია და პროფესიის გამოწვევები". კონფერენციის მთავარი მიზანი იყო, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენლებს მეტი გაეგოთ საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, პროფესიის რეგულირების გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას. კონფერენციის წარმომადგენლებმა განიხილეს კანონპროექტის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" კანონის ძირითადი დებულებები. კანონპროექტი ინიცირებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ. მასში მონაწილეობდნენ ACCA-ის, IFRS-ის, მსოფლიო ბანკის, საქართველოს პარლამენტის, ასევე საქართველოს მთავრობისა

და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.
10. 2016 წლის 22 მაისს გაიმართა ბაფის 20 წლის იუბილე. მონაწილეობდნენ: რუმინეთის ფინანსური აუდიტის პალატა, სამარას პროფესიონალი ბუღალტრების, ფინანსური მენეჯერებისა და ეკონომისტების სახელმწიფო ინსტიტუტი, აზერბაიჯანის აუდიტის პალატა, ესტონეთის აუდიტის ასოციაცია, ისრაელის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი, ყაზახეთის აუდიტის პალატა, პოლონეთის ბუღალტერთა ასოციაცია, უკრაინის პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, საქართველოს მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, წევრი კომპანიებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.
11. 2016 წლის 5-6 აპრილი: აზერბაიჯანში, ბაქოში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია "აუდიტის რეგულირების ფაქტობრივი გამოწვევები დღეს".
12. 26-27 აპრილი 2017: სასწავლო პროვაიდერების გლობალური კონფერენცია 2017, რომელიც ჩატარდა ACCA-ის მიერ ლონდონში.
13. 2017 წლის 30-31 მაისს ვენაში STAREPP პროგრამაში მონაწილეობდა ბაფის გამგეობის თავმჯდომარე და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე.
14. 2017 წლის 6-7 ივნისს, პოლონეთში, ვარშავაში ჩატარდა მე-2 კონგრესი, პოლონეთის ბუღალტერთა ასოციაციის 110 წლისთავის აღსანიშნავად. კონგრესის დროს რატიფიცირდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 8 ქვეყანას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი (საქართველო, უკრაინა, რუმინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, სერბეთი და პოლონეთი).

15. 2018 წლის ნოემბერში ბაფის 4 წარმომადგენელი მონაწილეობდა სიდნეიში გამართულ მე-20 მსოფლიო კონგრესში.

16. 2020-2022 წლებში ბაფის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ IFAC-ის, მსოფლიო ბანკის, ACCA-ის, მიერ ჩატარებულ 10-ზე მეტი ვებინარში.

17. ითარგმნებოდა IFAC-ის საინფორმაციო და სხვა მასალები, რომლებიც განთავსებული იყო ბაფის ვებგვერდზე და ქვეყნდებოდა ყოველთვიურ ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა“

18. 2022 წლის ივნისში, ბაფსა და 7 წამყვან უნივერსიტეტს შორის ხელი მოეწერა განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის (პროგრამების ურთიერთაღიარების) მემორანდუმებს.

19,. 2022 წლის ივნისი-ივლისში უნივერსიტეტების ლექტორებისთვის ჩატარდა ტრენინგები პროფესიული სერტიფიცირების მოდულების სწავლების მეთოდოლოგიაში და სხვ;

20. მიმდინარე წლის ნოემბერში, დაგეგმილია ბიზნეს ასოციაციების და ბაფის ერთობლივი ღონისძიება -„ პროფესია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის“. ღონისძიების თემები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის აქტუალური საკითხები პროფესიული მომსახურების ჭრილში
- პროფესიული მომსახურებაზე მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების კვლევის შედეგების მიმოხილვა და ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობის პერსპექტივები
- მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაციებთან პროფესიული სფეროს თანამშრომლობის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოკვეთა, მათ შორის რეგიონებში.

21. 2022 წლის ნოემბერში ბაფის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ: IFAC-ის ეგიდით მსოფლიო კონგრესში (ინდოეთი) და მსოფლიო ბანკის ეგიდით სტარეპის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაში (ავსტრია).

ბაფი თანამშრომლობს SARAS-სთან და 2017 წელს ხელშეკრულების საფუძველზე თარგმნა და გადასცა:

- ფასს 2017
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები 2017
- მცირე და საშუალო საწარმოების ფასს 2015

ბაფის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და მიკრო საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის პროექტების მომზადებაში. ბაფი ასევე მონაწილეობს დისკუსიებში, პრაქტიკაში აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ახალი რეგულაციების შემოსაღებად.

ბაფის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ SARAS-ის მიერ 2019-2022 წლებში თარგმნილი ISA, IFRS IESBA Code, ISQC 1 და ISQC 2 თარგმნილი მასალების ექსპერტიზაში.

რუსუდან ჟორჟოლიანი

გამგეობის თავმჯდომარე